GÜRTİAD

EKONOMİ BÜLTENİ

ეკონომიკური გამოცემა

10 Eylül /სექტემბერი 2025

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 704.5	9 141.4	9.4 %	13.9 %	4.6%

Gürcistan Başbakanı, BP Bölge Başkanı ile Görüştü

საქართველოს პრემიერ-მინისტრი BP-ის რეგიონულ პრეზიდენტს შეხვდა

Gürcistan Başbakanı Irakli Kobakhidze, BP'nin Azerbaycan, Türkiye ve Gürcistan'dan sorumlu Bölge Başkanı Gary Jones ile bir araya geldi.

Görüşmede, BP ile Gürcistan arasındaki uzun yıllara dayanan başarılı iş birliği ele alındı. BP'nin ülkedeki en büyük yatırımcılardan biri olduğu ve Gürcistan'a önemli faydalar sağladığı; özellikle istihdam yaratılması ve kamu alanındaki yatırım programlarının hayata geçirilmesi açısından katkı sağladığı vurgulandı.

Toplantıda, BP'nin Gürcistan'daki projelerinin önemi tartışıldı. Görüşmede, ülke topraklarından geçen üç büyük petrol ve gaz transit boru hattı ile Bakü-Supsa boru hattı ve Bakü-Tiflis-Ceyhan petrol boru hattının önemi ele alındı.

Ayrıca, Güney Kafkasya Boru Hattı Projesi'nin (SCP) rolü de değerlendirildi; bu hat sayesinde Şahdeniz sahasından çıkarılan doğal gaz Azerbaycan, Gürcistan ve Türkiye pazarlarına ulaştırılıyor.

Toplantıda, Gürcistan'daki elverişli yatırım ortamı ve ülkenin transit işlevi vurgulanırken, BP ile Gürcistan arasındaki ortaklığın gelecekteki gelişim potansiyeli de ele alındı.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე BP-ის რეგიონულ პრეზიდენტს საქართველოში, აზერბაიჯანსა და თურქეთში, გარი ჯონსს შეხვდა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო BP-სა და საქართველოს შორის წლების განმავლობაში არსებულ წარმატებულ თანამშრომლობას. აღინიშნა, რომ BP ქვეყანაში ერთ-ერთი

ARKAS EFES GEORGIA K.777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless Ziraat Bankası

უმსხვილესი ინვესტორია და მნიშვნელოვანი სარგებელი მოაქვს საქართველოსთვის, მათ შორის, სამუშაო ადგილების შექმნის კუთხით და საზოგადოებრივ სფეროში საინვესტიციო პროგრამების განხორციელების თვალსაზრისით.

შეხვედრაზე განიხილეს BP-ის მიერ საქართველოში განხორციელებული პროექტების მნიშვნელობა, მათ შორის, საუბარი შეეხო საქართველოს ტერიტორიაზე გამავალ ნავთობისა და გაზის სამ დიდ სატრანზიტო მილსადენს, ასევე, ბაქო-სუფსის მილსადენისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მნიშვნელობას.

ასევე აღინიშნა სამხრეთ კავკასიური მილსადენის პროექტის (SCP) როლი, რომლის საშუალებითაც ბუნებრივი აირი შაჰ დენიზის საბადოდან აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის ბაზრებს მიეწოდება.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა საქართველოში არსებულ ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოს და ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციას, ასევე BP-სა და საქართველოს შორის პარტნიორობის შემდგომი განვითარების კუთხით არსებულ პოტენციალს.

Eğitim Alanında İş Birliği Mutabakat Zaptı

თანამშრომლობის მემორანდუმი განათლების სფეროში

Gürcistan Eğitim, Bilim ve Gençlik Bakanlığı ile Türkiye Cumhuriyeti Gençlik ve Spor Bakanlığı arasında gençlik alanında ortak girişimlerin hayata geçirilmesini amaçlayan bir mutabakat zaptı imzalandı.

Belgeye, Gürcistan Eğitim, Bilim ve Gençlik Bakanı Givi Mikanadze ile T.C. Gençlik ve Spor Bakanı Osman Aşkın Bak tarafından imza atıldı.

Bakan Mikanadze, yeni iş birliğinin yapılandırılmış diyalog, ortak girişimler ve stratejik planlama yoluyla Gürcistan ile Türkiye arasındaki uzun soluklu ortaklığın güçlendirilmesine önemli bir katkı sağlayacağını vurguladı.

ARKAS EFES GEORGIA K.777 LC WAIKIKI IBANK İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Tepe Akfen TAV Airports Wasteless Specific waste management Ziraat Bankası

Bakan Bak ise iki ülke bakanlıkları arasındaki başarılı iş birliğine dikkat çekerek, Gürcü tarafına ortak gençlik programlarının geliştirilmesine hazır olduklarını ifade etti.

Mutabakat zaptı kapsamında, gençler için ortak projeler yürütülecek; gençlik kampları, forumlar, konferanslar, seminerler, eğitim ziyaretleri ve diğer önemli etkinlikler organize edilecek. Bu faaliyetler, gençliğin gelişimi alanında iki ülke arasındaki iş birliğinin daha da güçlenmesine katkı sağlayacaktır.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და თურქეთის რესპუბლიკის ახალგაზრდობის და სპორტის სამინისტროს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს, ახალგაზრდობის სფეროში პარტნიორობის გაძლიერების მიმართულებით ერთობლივი ინიციატივების განხორციელება.

დოკუმენტს ხელი მოაწერეს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა გივი მიქანაძემ და თურქეთის რესპუბლიკის ახალგაზრდობის და სპორტის მინისტრმა ოსმან აშქინ ბაქმა.

გივი მიქანაძის თქმით, ახალი თანამშრომლობა სტრუქტურირებული დიალოგის, ერთობლივი ინიციატივებისა და სტრატეგიული დაგეგმვის გზით, კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოსა და თურქეთს შორის მრავალწლიანი პარტნიორობის გაღრმავების კუთხით.

თავის მხრივ, ოსმან აშქინ ბაქმა ორი ქვეყნის სამინისტროების წარმატებულ პარტნიორობაზე გაამახვილა ყურადღება და ქართულ მხარეს ერთობლივი ახალგაზრდული პროგრამების განვითარების მზაობა დაუდასტურა.

მემორანდუმის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს საქართველოსა და თურქეთის ახალგაზრდებისთვის ერთობლივი პროექტების განხორციელება, მათ შორის, ახალგაზრდული ბანაკების, ფორუმების, კონფერენციების, სემინარების, სასწავლო ვიზიტებისა და სხვა მნიშვნელოვანი აქტივობების ორგანიზება. რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის განვითარების მიმართულებით ორმხრივი თანამშრომლობის გაძლიერებას.

İş Sektörü Cirosu

ბიზნეს სექტორის ბრუნვა

2025 Yılının ikinci çeyreğinde iş sektörü cirosu, bir önceki yılın aynı dönemine göre %12,5 artarak 60,3 milyar Lari'ye ulaştı. Mevcut yılın ikinci çeyreğinde iş sektörü üretimi 23,2 milyar Lari'ye yükseldi; bu, geçen yılın aynı dönemine göre %13,0'lik bir artışa işaret etmekte olup, ikinci çeyrek bazında rekor seviyeyi temsil etmektedir. İkinci çeyrekte büyük işletmelerin üretimi %15,1 artarken, küçük ve orta ölçekli işletmelerin üretim artışı %11,3 olarak kaydedildi.

Ekonomik faaliyetlerdeki artışla paralel olarak iş sektöründe istihdam edilen kişi sayısı da yükseldi. 2025 Yılının ikinci çeyreğinde iş sektöründe istihdam %3,3 artarak 25,8 bin kişi yükseldi ve ilgili çeyrek bazında rekor seviyeye ulaşarak toplam 795,6 bin kişiye ulaştı.

Bu yılın iki çeyrek verilerine göre iş sektörü cirosu %13,5 artarak 116,3 milyar Lari olarak gerçekleşti, iş sektörü üretimi ise 43,9 milyar Lari oldu; bu veriler, geçen yılın aynı dönemine göre %14,2'lik bir artış anlamına gelmektedir.

Üretimdeki artışa önemli katkı, bilgi ve iletişim sektöründe (%76,4), ticarette (%8,3), inşaatta (%3,6), taşımacılık ve depolamada (%15,1) ve imalat sanayinde (%3,9) kaydedilen üretim artışlarıyla sağlandı.

2025 Yılının ikinci çeyreğinde kiralık çalışanların ortalama aylık maaşı 212,1 Lari artışla %10,1 yükselerek 2.317,6 Lari oldu. Aynı dönemde, geçen yılın aynı çeyreğine kıyasla tüm ekonomik sektörlerde iş yerleri arttı. İstihdam artışına en yüksek katkıları ticaret, konaklama ve yiyecek hizmetleri, taşımacılık ve depolama, bilgi ve iletişim, profesyonel, bilimsel ve teknik faaliyetler ile imalat sanayi sektörleri sağladı.

ARKAS EFES GEORGIA K.777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless Ziraat Bankası

2025 წლის მეორე კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 12.5%-ით გაიზარდა და 60.3 მლრდ. ლარი შეადგინა.

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში ბიზნეს სექტორის გამოშვება 23.2 მლრდ. ლარს გაუტოლდა, რაც 13.0%-ით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს და მეორე კვარტლის ჭრილში რეკორდულ მაჩვენებელს წარმოადგენს. მეორე კვარტალში მსხვილი საწარმოების გამოშვება გაიზარდა 15.1 პროცენტით, ხოლო მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვების ზრდამ 11.3 პროცენტი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ბიზნეს სექტორში ეკონომიკური აქტივობის ზრდის პარალელურად იზრდება დასაქმებულთა რაოდენობა. 2025 წლის მეორე კვარტალში, ბიზნეს სექტორში სამუშაო ადგილების რაოდენობა 3.3%-ით - 25.8 ათასით გაიზარდა და შესაბამისი კვარტლის ჭრილში რეკორდული რაოდენობა - 795.6 ათასი შეადგინა.

წელს ორი კვარტლის მონაცემების მიხედვით ბიზნეს სექტორის ბრუნვა 13.5%-ით გაიზარდა 116.3 მლრდ. ლარამდე, ხოლო ბიზნეს სექტორის გამოშვებამ 43.9 მლრდ. ლარი შეადგინა, რაც 14.2%-ით აღემატება წინა წლის შესაბამის პერიოდს.

გამოშვების ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა: ინფორმაციისა და კომუნიკაციის (ზრდა 76.4%), ვაჭრობის (ზრდა 8.3%), მშენებლობის (ზრდა 3.6%), ტრანსპორტისა და დასაწყობების (ზრდა 15.1%) და დამამუშავებელი მრეწველობის (ზრდა 3.9%) სექტორებში გამოშვების ზრდამ.

2025 წლის მეორე კვარტალში, ასევე, გაიზარდა დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება 212.1 ლარით - 10.1%-ით და 2,317.6 ლარს გაუტოლდა. ამავე პერიოდში, წინა წლის იგივე კვარტალთან შედარებით სამუშაო ადგილები გაზრდილია ეკონომიკის ყველა სექტორში. დასაქმების ზრდაში ყველაზე მაღალი წვლილი ვაჭრობის (ზრდა 12.0 ათასი კაცით, 5.5%-ით); განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების საქმიანობების (3.7 ათასი კაცით, 9.5%-ით); ტრანსპორტირების და დასაწყობების (ზრდა 3.2 ათასი კაცით, 5.3%-ით); ინფორმაცია და კომუნიკაციის (ზრდა 1.6 ათასი კაცით, 3.4%-ით); პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების (ზრდა 1.4 ათასი კაცით, 5.9%-ით) და დამამუშავებელი მრეწველობის (1.0 ათასი კაცით, 1.1%-ით) სექტორებმა შეიტანეს.

ARKAS EFES GEORGIA K.777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless Ziraat Bankası

Tiflis-Ankara-Tiflis Seferlerine Eylül Sonundan Başlanıyor

ანკარა-თბილისი-ანკარა რეისები სექტემბრის ბოლოდან იწყება

Düşük maliyetli havayolu şirketi Ajet, Ankara-Tiflis-Ankara hattında düzenli seferlere başlıyor. Gürcistan Sivil Havacılık Kurumu'na yapılan başvuruya göre, uçuşlar Eylül ayı sonundan itibaren haftada 4 sefer olmak üzere Pazartesi, Salı, Perşembe ve C

umartesi günleri gerçekleştirilecek. Ajet, Türkiye'nin en büyük havayolu şirketi Türk Hava Yolları'nın bir iştiraki. Sivil Havacılık Kurumu, havayoluna yeni hatta düzenli seferler başlatması için gerekli izni verdi.

Gürcistan ve Türkiye başkentleri arasında direkt uçuşların başlatılması konusunun, bu yılın Temmuz ayında Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Mariam Kvrivishvili ile Türk Hava Yolları Yönetim Kurulu ve İcra Komitesi Başkanı Ahmet Bolat arasında yapılan bir toplantıda ele alınması dikkat çekici. Görüşmede ayrıca iki ülke arasındaki hava trafiğini daha da artırma ve yeni hava yolları açma olanakları da ele alındı.

Gürcistan, komşu ülkeler arasında Türkiye ile en aktif hava trafiğine sahip ülkedir. Geçen yılki verilere göre, iki ülke arasında bir milyon iki yüz binden fazla yolcu taşınmış olup, bu sayı Gürcistan ile komşu ülkeler arasındaki toplam yolcu akışının %47'sine denk gelmektedir.

2025 yılının ilk yedi ayı itibarıyla, Gürcistan havalimanlarında yirmi bini aşkın uluslararası ve iç hat uçuşu ile rekor bir sayıya ulaşılmıştır. Ocak-Temmuz döneminde gerçekleştirilen yolcu ve kargo uçuşu sayısı (20.766), 2024 yılının aynı döneminde gerçekleştirilen uçuş sayısından %16 daha fazladır. Bugün itibarıyla, her üç uluslararası havalimanında da haftada yaklaşık 745 uçuş

ARKAS EFES GEORGIA K.777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless Ziraat Bankası

gerçekleştirilmektedir. 2025 yılının ilk yedi ayında Gürcistan havalimanlarından toplam 4.601.048 yolcu taşınmıştır. Bu sayı, 2024 yılının aynı döneminde alınan yolcu sayısından %13 daha fazladır.

დაბალბიუჯეტური ავიაკომპანია Ajet-ი ანკარა - თბილისი - ანკარას საჰაერო ხაზზე რეგულარული საჰაერო მიმოსვლის განხორციელებას იწყებს. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში წარმოდგენილი განაცხადის შესაბამისად, ფრენები სექტემბრის ბოლოდან, კვირაში 4 სიხშირით, ყოველ ორშაბათს, სამშაბათს, ხუთშაბათსა და შაბათს შესრულდება. ავიაკომპანია Ajet-ი თურქეთის უმსხვილესი ავიაგადამყვანის „თურქეთის ავიახაზების“ შვილობილი კომპანიაა. სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ ავიაკომპანიას ახალი მიმართულებით რეგულარული საჰაერო მიმოსვლის განხორციელებისათვის აუცილებელი ნებართვა უკვე მიანიჭა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და თურქეთის დედაქალაქებს შორის პირდაპირი ავიამიმოსვლის დაწყება მიმდინარე წლის ივლისში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს, მარიამ ქვრივიშვილსა და „თურქეთის ავიახაზების“ დირექტორთა საბჭოსა და აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს აჰმეტ ბოლატს შორის გამართულ შეხვედრაზე იქნა განხილული. საუბარი ასევე წარიმართა ორ ქვეყანას შორის საჰაერო მიმოსვლის შემდგომი ზრდის და ახალი საჰაერო მარშრუტების გახსნის შესაძლებლობებზე.

მეზობელ ქვეყნებს შორის ყველაზე აქტიური საჰაერო მიმოსვლა საქართველოს სწორედ თურქეთთან აქვს. გასული წლის მონაცემებით, ორ ქვეყანას შორის მილიონ ორასი ათასზე მეტი მგზავრია გადაყვანილი, რამაც საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებს შორის საერთო მგზავრთნაკადის 47%-ი შეადგინა.

2025 წლის პირველი შვიდი თვის მდგომარეობით, საქართველოს აეროპორტებში რეკორდული რაოდენობის, ოცი ათასზე მეტი საერთაშორისო და ადგილობრივი ავიარეისი შესრულდა. იანვარ-ივლისში შესრულებული სამგზავრო და სატვირთო ავიარეისების რაოდენობა (20 766) 16%-ით აღემატება 2024 წლის ანალოგიურ პერიოდში განხორციელებული ფრენების რაოდენობას. დღეის მდგომარეობით, სამივე საერთაშორისო აეროპორტში ფრენები კვირაში დაახლოებით 745 სიხშირით სრულდება. 2025 წლის საწყის 7 თვეში, საქართველოს აეროპორტების მეშვეობით ჯამურად გადაყვანილ იქნა 4 601 048 მგზავრი, რაც 13%-ით აღემატება 2024 წლის ანალოგიურ პერიოდში მიღებული მგზავრების რაოდენობას.

ARKAS EFES GEORGIA K.777 LC WAIKIKI ᲘᲛᲔᲜᲐᲝ İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Tepe Akfen TAV Airports Wasteless Specific waste management Ziraat Bankası

Temmuz Ayında Gürcistan Ekonomisi %6,5 Arttı

ივლისში საქართველოს ეკონომიკა 6.5%-ით გაიზარდა

2025 Yılının Temmuz ayında, geçen yılın aynı dönemine kıyasla, gerçek gayri safi yurt içi hasıla (GSYH) artışı %6,5 olarak gerçekleşti. 2025 Yılının ilk yedi aylık dönemi için ortalama artış %8,0 olarak belirlendi.

2025 Yılı Temmuz ayında, geçen yılın aynı dönemine göre büyümeye önemli katkı sağlayan sektörler; taşımacılık ve depolama, bilgi ve iletişim, sanat, eğlence ve dinlenme ile ticaret oldu.

Öte yandan, imalat sanayi ve inşaat sektörlerinde düşüş eğilimi kaydedildi.

2025 წლის ივლისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით,რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდამ 6.5 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2025 წლის პირველი შვიდი თვის საშუალო მაჩვენებელი 8.0 პროცენტით განისაზღვრა.

2025 წლის ივლისში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა: ტრანსპორტი და დასაწყობება,ინფორმაცია და კომუნიკაცია, ხელოვნება, გართობა და დასვენება, ვაჭრობა.

ხოლო, კლების ტენდენცია დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში.

ARKAS EFES GEORGIA K.777 LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Tepe Akfen TAV Airports Wasteless Specific waste management Ziraat Bankası